



გაზეთი „მემკვიდრე“ ღირს
თვეობად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10-34.

ბანკნაღების შესანიშნავი
1 გვ. 20 კპ. ჩვენი ნაღდობი
4 „ 15 „
საგადასახადო ნაღდობი
1 გვ. 4-8-50 კ. ლეონი.
4 „ 18 „

მთავარი კომიტეტის ოფისი

№ 604 ოთხშაბათი, ოქტომბრის 24 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 400,000

აკაკი, კაპიტონი, გრიგოლ, შალვა, ვიკენტი, ნინა, იულია, მარიკო, მაყვალა და ნოდარ
ბაქრაძეები, გულდამფარვი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს ოქტომ-
ბრის 25-ს ამა წლისა მოხდება დაკრძალვა ტრადიციულად დაღუპულ ბიძაშვილის

ნიკო იოსელიანს კი ბაქრაძის

ქალ. ქუთაისში, ბალახეანის ქუჩა, საკუთარისადაა.

„რეინის რესპუბლიკა“

გუშინდელმა რადიომ გადმოგვცა ცნობა რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ფორმალურად რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკას აცხადებენ რეინის გერმანელი სეპარატისტები; ფაქტურად ამ აქტის ცხოვრებაში გერმანიის ხელმძღვანელობენ საფრანგეთის იმპერიალისტები, პუანკარეს მეთაურობით.

დღეს გერმანეთი მრავალ გვარ ექსპერიმენტების ობიექტად არის გადაქცეული და გერმანეთის კულტურულ ნაციის ორგანიზმზე სხვა და სხვა სახის ოპერაციებს ახდენენ; შინაური და გარეშე კაპიტალისტური ძალები არსებითად არიან დაინტერესებული გერმანეთის მდგომარეობით და იქ ახალ შესაძლებლობებს წინაშე შეიძლება დაესდგეთ.

ყველაზე მძლავრი და მეტად დიდი მნიშვნელობის ოპერაცია გერმანეთის სხეულზე მოახდინა ანტანტის კავშირმა ვერსალის საზავო პირობებით. ამ ზავმა გერმანეთს ჩამოაცილა მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი სამეურნეო რაიონებისა, დაშალა მისი მეტალურგიის საფუძვლები და იარაღ აყრილი გადააქცია თავის საექსპლუატაციო ობიექტად. ამ პოლიტიკას განსაკუთრებული სიძლიერით ატარებენ ცხოვრებაში საფრანგეთის მრეწველები.

საფრანგეთს სურს არა მარტო ეკონომიურად დასცეს გერმანეთი და წაართვას მას პირველობა მთელს ევროპაში, არამედ პოლიტიკურადც დასცეს იგი და დაიყვანოს იგი მესამე ხარისხის სახელმწიფოს მდგომარეობამდე. გერმანეთის ეკონომიური დაუძლურების მიზნით პუანკარეს მთავრობამ მას წართვა ელხას-ლორენის, საარის, რურისა და სილეზიის რაიონისა და ქვანახშირის რაიონები და ამ გვარად ხელიდან გაშალა გერმანეთის ხალხს მისი მრეწველობის მთავარი ფაქტორები; მაგრამ მარტო ამით არ კმაყოფილდებიან ფრანგი კაპიტალისტები და თავიდანვე შეუდგნენ გერმანეთის წინააღმდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დანაწილებას; რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება ამ პოლიტიკის ერთი ეპიზოდია. ამ აქტით იშლება გერმანეთის მთლიანობა და ერთი ნაციონალური სხეული რამდენიმე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად რაშლდება.

ამ როგად პუანკარემ სისრულეში მოიყვანა საფრანგეთის იმპერიალისტების დიდი ხნის სურვილები. ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის პროცესში, 1915-16 წლებში, როდესაც მოკავშირეებმა ფარული ხელშეკრულებით გადაიყვეს მთელი მსოფლიო, იმავე პუანკარეს მოთხოვნით შეტანილი იქნა ხელშეკრულებაში მუსლი რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. ამ მოთხოვნას პუანკარეს მთავრობა ამართლებდა იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთსა და გერმანეთს შორის საპირიპირი ბუფერის-სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაიცავს და საზღვარს გააღებს ამ ორ მონაწილემდე სახელმწიფოთა შორის.

საფრანგეთმა ეკონომიურად და სტრატეგიულად დაუძლურა გერმანეთი და გადაქცია იგი თავის საწველ ფურად; რეინის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დღეს იგი ცდილობს გერმანეთის განადგურებას, დაუძლურება და დაქსაქსვა ბოლომდე მიიყვანოს.

რას ფიქრობს ასეთს პირობებში შტრეზმანის მთავრობა და მათი მოკავშირეი ს.-დემოკრატები? როგორია მათი პოლიტიკა საფრანგეთის ამ ავანტიურის მიმართ?

როგორც ვიცით, გერმანეთის მესვეურებმა ვერაფერი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს პუანკარეს პოლიტიკას და დღეს მთელი გერმანეთის საშინელ ანარქიის ბრწყინვალე ილუზია.

შტრეზმანის მთავრობა და მთელი მენშევიკური პარტია დღეს ორ ცეცხლ შუა არის მომწე-

ვდებული, მათმა უხეშმა პოლიტიკამ, ერთის მხრით გამოაფხიზლა პროლეტარული ელემენტები და ისინი ირაზმებიან კომპარტიის გარშემო გადამჭრელ ბრძოლისთვის, მეორეს მხრით კი გათავაზა ფაშაზმი და ახალი ექსპერიმენტით იმუქრება. გერმანეთი დღეს ფაქტურად სამოქალაქო ომის პროცესში იმყოფება და ნორმალურ მდგომარეობის შექმნაზე იქ ზედმეტია ლაპარაკი. ასეთს პირობებში პუანკარეს სისრულეში მოყვას თავისი ზრახვები და აქტუალებს გერმანეთის ნაციას.

პროლეტარული რევოლუციის წითელი საფრთხე ყველაზე უფრო მეტად აშინებს შტრეზმანს და მენშევიკებს, ამიტომ ისინი, ნაცულად პუანკარეს დაპირისპირების არჩევენ მასთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების პოლიტიკას. მართალია შტრეზმანი პირდებოდა ხალხს, რომ იგი ნებას არავის მისცემს გერმანიის დაქუცმაცების შესახებ, მაგრამ ფაქტურად მთელი რურის რაიონი საფრანგეთის ხელში არის და დღეს ფორმალურადაც ცხადდება რეინის დამოუკიდებლობა.

ამგვარად შტრეზმანისა და მენშევიკების პოლიტიკამ ვერ იხსნა ერი განადგურებისაგან და მას კიდევ უფრო დიდი საფრთხე მოელოს; ეროვნული მთლიანობა ვერ დაიცვა გერმანეთის ბურჟუაზიამ და ახალი კრიზისი კვლავ კარგადაა უკაჟუნებს მშრომელ ხალხს. ბურჟუაზიას სურს და მისი ინტერესი მოითხოვს თავისი კლასიური პრივილეგიების დაცვასა და შენარჩუნებას.

თუ მდგომარეობა მოითხოვს ის მზად არის მსხვერპლად შესწიროს თავის კლასიურ ინტერესებს ნაციის მთლიანობა. თუ პროლეტარული რევოლუცია თავისი შესაფერისი ტემპით განვითარდება გერმანეთში ბურჟუაზია ხელს გაუწოდებს საფრანგეთსა და პუანკარეს დახმარებით მოისურვებს სისხლის მორევში ჩააღრიოს რევოლუცია.

1871 წელს ტიერმა მსხვერპლად შესწირა საფრანგეთის ნაციონალური ინტერესები თავის კლასიურ ინტერესებს და ბისმარკის ხელებით სისხლის მორევში ჩააღრიო პარიზის კომუნარები. დღეს ასეთს დახმარებას თვით საფრანგეთის იმპერიალისტები პირდებიან გაჭირვებაში მყოფ გერმანელ მოქმედებს.

ერთად ერთი ძალა, რომელიც გამოდის დღეს გერმანეთში ნაციონალური პრესტიჟისა და მთლიანობის დასაცავად, ეს არის-გერმანეთის პროლეტარიატი და მთელი კომუნისტური პარტია. ბურჟუაზიას არ ძალუძს დაიცვას ეროვნული მთლიანობა და დაუპირისპირდეს მოწინააღმდეგე ძალას. მისი პოლიტიკის წყალობით გერმანეთი ნგრევას და დაშლის პროცესში იმყოფება. გერმანეთის პროლეტარიატი დღეს ერის მთლიანობის ლოზუნგით გამოდის და მხოლოდ მას ძალუძს გადაარჩინოს ერი განადგურებას. პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და ბურჟუაზიის ალაგმით, გერმანეთის პროლეტარიატი გასწვევს ყოველგვარ კავშირს ანტანტის მოძალადებთან და მტკიცე ურთიერთობას დაამყარებს საბჭოთა დიდ კავშირთან. გერმანეთის ხალხის ხსნაც ამ პოლიტიკაში მარხია. და თუ ვინმე მოინდომებს მისი ეროვნული მთლიანობის დარღვევას, მას საკმე ექნება დიდ სოციალისტურ კავშირებს, რომელსაც მხარს უჭერს მთელი მსოფლიო მშრომელი მასები.

1918 წ. აბს. ლენინი ამბობდა: „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სოციალისტური სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.“ გერმანეთის პროლეტარიატი დღეს ეს სიტყვები სავსებით შეუძლია გაიმეორებს და იგი კიდევ შესძლებს სოციალისტური სამშობლოს შექმნასაც და დაცვასაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

მედი პლატფორმის გამოჩენა, — ეს მეტის მეტად დამახასიათებელი მომენტი თანამედროვე ისტორიული პერიოდის.

საერთაშორისო ომმა და რევოლუციამ იმდენად შესცვლა მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების პირობები, ისეთ ახალს მომენტებსა და ფაქტორებს მისცა განსაკუთრებული როლი, რომ პოლიტიკურ პარტიებს ძველი პროგრამითა და ძველი ტაქტიკით აღარ შეუძლიან მოქმე-

- დღიური
- ბერლინში: სოც.-დემ. კონფერენციაზე გაიმარჯვეს მემარცხენეებმა.
 - ბერლინში: სოც.-დემ. ახალ საოლქო კომიტეტს მოლაპარაკება აქვს კომპარტიასთან მთლიანი ფრონტის შესახებ.
 - აახენში შესდგა რეინის დროებითი მთავრობა.
 - მიულერი განაგრძობს საქსონიის საწინააღმდეგო გამოსვლებს.
 - ლოსსოვის მაგიერ ინიშნება კრესსენშტეინი.
 - ბავარიასა და ბერლინს შორის გამწვავებული დამოკიდებულება გრძელდება.
 - საქსონიასა და რუსეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება პურის მოწოდების შესახებ.

დღმა და ისინიც იძულებული ხდებიან ახალ მომენტთან შეფარდებული სამოღვაწეო გეგმები გამოიმუშაონ.

თანამედროვე ცხოვრების აქტიურ მომქმედ კლასებს წარმოადგენენ მხოლოდ პროლეტარიატი და ბურჟუაზია და ამ ორი ჩამოყალიბებული კლასების გარშემო ჯგუფდებიან სხვა სოციალური კატეგორიები: პროლეტარიატი თავს უყრის თავის გარშემო ყველა ჩაგრულსა და მშრომელ ელემენტებს, რაზმებს მათ და მოუწოდებს ახალი მსოფლიოსაკენ, ბურჟუაზია კი ამ ჯამად გამოხატავს ყოველი ჯურის ექსპლოატატორებსა და მყვლეფლებს, ყოველი სახის მუქთა მკამელებსა და სპეკულანტებს.

პროლეტარიატის მიზანია კაპიტალისტური მეურნეობის აღმოფხვრა, ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობის მოსპობა, და განმტკიცება ახალი სოციალური წყობილების; ამისათვის იგი რაზმებს ყველა დაჩაგრულსა და გაყვლეფილს ელემენტებს, მშრომელ მასებს და გამოყვას ისინი საბრძოლველ მოედანზე. გადამჭრელ ბრძოლის მისაღებად; ხოლო ბურჟუაზიის მიზანს შეადგენს დაცვა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა მთელი თავისი შინაარსითა და ფორმებით, ამისათვის იგი ყოველგვარ სოფალეებს იმართავს და ყოველ პირობებს იყენებს.

ბოლშევიზმი ეს არის პრაქტიკული ფილოსოფია პროლეტარიატისა, მასასადავ, მთელი მშრომელი მასებისა და გაყვლეფილი ელემენტების; ბოლშევიზმი არის გზა, სისტემა, ბრძოლის მეთოდი, ერთად ერთი იარაღი კაპიტალისტური მეურნეობის აღმოსაფხვრელად მშრომის ბატონობის გასამტკიცებლად. ფაშაზმი ეს ბურჟუაზიის პრაქტიკული ფილოსოფიაა, მისი ბრძოლის მეთოდების გამოშატეული მოძღვრებაა.

არც თანამედროვე ბოლშევიზმი, არც ფაშაზმი თავიანთი დღევანდელი ბრძოლის მეთოდებით არ იცოდა ომისა და რევოლუციის წინა-დროის მსოფლიომ, ისე როგორც მან არ იცოდა საბჭოთა სისტემა და პროლეტარიატის დიქტატურის მეთოდები.

ეს ორი სისტემა ბრძოლის პროცესში გამოცდიდა და გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა: რევოლუციონურმა სტიქიამ ბუნებრივად მიიყვანა პროლეტარიატი საბჭოთა სისტემისა და დიქტატურის გარკვეულ ფორმების გამტკიცებამდე; დევრადიციის, დაშლისა და განადგურების პროცესში მყოფმა კაპიტალისტურმა მეურნეობამ ბუნებრივად მიიყვანა ბურჟუაზია ფაშაზმის მიღებამდე.

ბოლშევიზმი და ფაშაზმი ეს არის ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოძღვრება და სისტემა და ისინი აძლევენ მთელს თანამედროვე ვითარებას ტონსა და შინაარს. ისე, როგორც საბჭოთა რესპუბლიკები დიდი კავშირი მაგრდება და ეყრდნობა არა მარტო თავის საზღვრებში, არამედ მთელს მსოფლიოში კომუნისტურს (ბოლშევიკურს) პარტიასა, რომელიც გამოხატავს პროლეტარულ მოძრაობის ტენიასა და ავანგარდს, ასევე კაპიტალისტური კეფეხები ეყრდნობიან ფაშისტურ მოძრაობას. იმ ორ ძალთა შუა და მათ ბრძოლის პროცესში არ არის არც ერთი ნაჭერი თავისუფალი ადგილი, რომელზედაც შეეძლოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას თავისუფალი, დამოუკიდებელი არსებობისა. ან კომუნისტისა, ან ფაშისტისა, შუაზე დგომა შეუძლებელია, თი როგორის კატეგორიის ფორმით სდგას საკითხი.

თანამედროვე მსოფლიომ იცის მრავალი სოციალისტური და სხვა სახის პოლიტიკური პარტია,

რომელიც ცდილობს ერთსა და იმავეს და მერსაც და თავისთვის მოსძებნოს მტკიცე ცენტრი. და სწორედ აქ არის ამ პარტიების რღვევისა, მერყეობისა და გადაჯგუფების მთავარი მიზეზი ჩამარბული: თუ რამოდენიმედ თეორიულად შესაძლებელი ხდება ცენტრისათვის პლატფორმის გამოძებნა, პრაქტიკულად, გადამჭრელ ბრძოლის პერიოდში ასეთს „მოპოვიდა“ ყოველგვარი ნიადაგი ეცლება და ესა თუ ის პარტია ასეთს მომენტში იძულებული ხდება ამა თუ იმ მებრძოლ ძალას მიემხროს. ეს გარემოება იწვევს პარტიის რიგების დაშლას და ერთი პარტიის წევრების ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ამოძრავებას. ამის საუცხოვო ნიმუშს იძლევა გერმანეთის სოც.-დემოკრატია. ეს პარტია 1914 წლიდან რღვევის პროცესში იმყოფება და საუკეთესო რევოლუციონური ელემენტები გადადნა კომუნისტების რიგებში, პარტიის ბიუროკრატული ნაწილი და ოპორტუნიისტული ელემენტები განუყრელ კოალიციაში იმყოფებიან ბურჟუაზიასთან.

მენშევიკური ძალების რღვევა და მათი გადაჯგუფება-დამოჯგუფება ჯერაც არ დამთავრებულა და უკანასკნელმა ამბებმა მეტად დამახასიათებელი მომენტის წინაშე დადგა: გერმანეთში. საქსონიისა და ტურიინგიის სოციალისტთა გაერთიანებულ ფრონტს, რომელშიაც უმეტესობას წარმოადგენენ სოც.-დემოკრატები, იარაღით ხელში ემუქრება სოც.-დემოკრატები და შტრეზმანის კოალიციონური მთავრობა. ეს უკვე არის ორ საწინააღმდეგო ბანაკში მოქცევა ერთი და იმავე პარტიის წევრებისა და ორგანიზაციების: შტრეზმანის გვერდით სდგას ოპორტუნიისტული მენშევიკური ცეკა, საქსონიის იცავენ მემარცხენე ელემენტები. რა არის ეს, თუ არა სრული პოლიტიკური გაკორტება და იდეური გახრწნა ერთ დროს მართლაც მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური პარტიისა?

რამ გამოიწვია ასეთი გაკორტება სოც.-დემოკრატული პარტიისა? მათი პროგრამის სრულმა უნადავობამ და შეუსაბამობამ. მენშევიკები ცდილობდნენ თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ხასიათდება ახალი მომენტებითა და ფაქტორებით, გამოვიდნენ ამ 30 წლის წინად შემუშავებულ პროგრამითა და სამოქმედო გეზით. მაგრამ თანამედროვე პირობებში მათი პროგრამა არ მიიღო და აქედან წარმოსდგა მენშევიზმის კრიზისი და მათი გაკორტება.

ახვედ დამართება ყოველ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მოისურვებს კომუნისტური რევოლუციის დროს, რევოლუციისათვის და კაპიტალიზმის, ბოლშევიკებისა და ფაშისტების შუა დგომას.

თანამედროვე ისტორიის ქმნის დიდი პოლიტიკური ორგანიზაციები და მთელი მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ ორ მოწინააღმდეგე ბანაკად ყალიბდება მთელი კაცობრიობა.

თანამედროვე ისტორიული პროცესი მოითხოვს ყოველ სახიფათო და რევოლუციონურ ძალების ერთს მჭიდროდ შეკავშირებულს, ერთი მტკიცე ნების-ყოფის მქონე ორგანიზაციაში დარაზმებს და ეს კონსოლიდაცია. მებრძოლი ძალების ყველგან და ყოველ პირობებში გატარებული უნდა იქმნას თავის ლოლიკურს შესაძლებლობამდე.

როდესაც პოლიტიკური ომი არის გამართული ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის მაშინ პარტიზანული რაზმების არსებობას ვერ ითმენს ბრძოლის სტრატეგია.

ს. ს.

შენიშვნები

1. ისტორიული პროცესი.

ერთი მეტად სერიოზული მომენტი ახასიათებს თანამედროვე ეპოქას: ეს არის რღვევა, განადგურება და გადაჯგუფება ძველი პოლიტიკური პარტიებისა. ძველი პოლიტიკური ორგანიზაციები ძველი პროგრამებისა და ტაქტიკით, მეთოდებით ვეღარ გეუბებიან თანამედროვე ისტორიული ვითარებისა და ამიტომ მეტად მნიშვნელოვან პროცესს განიცდიან. პოლიტიკური პარტიების გადაჯგუფება ძველი პროგრამების გადასინჯვა და ახალი სამოქ-

გერმანიის აგაპი.

„ზაკროსტას ცნობები“ 23 ოქტომბრიდან. ბერლინის სოციალ-დემოკრატულ ორგანიზაციის კონფერენცია დამთავრდა მემარცხენეთა სრუ-

ლის გამარჯვებით. ახალ საოლქო კომიტეტში აირჩიეს 7 მემარცხენე და ერთი მემარჯვენე. მიღებული რეზოლუციები „ფორვერტსის“ რედაქტორის, შტამპფერის შეცვლას, დაუყოვნებლივ პარტიის მოწვევისა, სოც.-დემ. მთავრობიდან გამოსვლი-

ლად ზურგს შეაქცევს მის გამაბრუნებელ მენშვეიკურ ელემენტებს ჩვენი პარტიის და დიდებულ მემკვიდრე ნათა ბანაკში. ვინაიდან ეს ხალხი არის მხოლოდ გამანადგურებელი სოციალიზმ-ფედერალიზმის წმინდა იდეების. მართალია, ამხანაგებო, ჩვენ მოვსტყუდებით და ამაში დამანაშავეა პარტიის შემთხვევითი მეთაურები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს მოლაპატე ხალხი ყოველთვის აგებს ჩვენზე პასუხს. ჩვენ გვქონდა დრო გამოვლინების, გადავსვების და აპა, დღეს დადგა ხანა ჩვენი გამოვლინებისა. აწი მაინც მოვალე ვართ ყოველმა ჩვენთაგანმა ჩაგხედოთ ცხოვრების სიღრმეში და მივიღოთ იქ, სადაც უნდა ვიყუდოთ. ამის შემდეგ ვიქნებით ჩვენ სრული უდინაშაული და წმინდა ჩვენი საქმიანობა. ვინც დღეს შემდეგ კიდევ ბრძალ დაადგება მენშვეიკურ მრუდე გზას, ის თვითონ იქნება პასუხისმგებელი თავის ლალატში და რეაქციონურ საქმეში. დღეს

შემდეგ ჩვენი ახალგაზრდობის იმ ნაწილზე, რომელიც დარჩება ისევ რეაქციის ბანაკში მენშვეიკურ ელემენტებთან. აი მათ მაგიერ არაფერ არ აგებს პასუხს და მათ წყევლა-კრულვით მოიხსენიებს, როგორც რევოლუციის მატარებელს, ისე ჩვენი პარტიის ისტორია. ეს უნდა ვიცოდეთ ყველა ჩვენი პარტიის ახალგაზრდობამ. აწი მაინც დროა გავიფანტოთ ბურჟუაზიისაგან და მივიღოთ ჩვენი პარტიის წმინდა ოჯახში. თორემ ისტორია და რევოლუცია უღმრთოა და მან პატიება არ იცის. დღეს ვინც ჩვენთან არ იქნება და არ დადგება მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულირებელი პარტიის ბანაკში. ის ამით გააძაბოთ თავის წარსულს, ამ სამი წლის მოქმედებას და ამით დამსახურებს წყევას და კრულვას.

ვახილ კეკელია.

პატარა ფალსტუხის გაგონი

პროკინდის რამ-რამი
(სურათები).
როგორც შენ უწყი, ძვირფასო მკითხველო, მე შენთვის წარმოსადგენად აღარებელი საჩივრები მაქვს...
მილიონ საჩივართა შორის არის ჩივილი დამდგრეველ კაცისა.
— ღამით ჩემს „მისაღებ კაბინეტში“ შემოიჭრა დამღვრეველი კაცის სული და დაიწყო: „მე ვარ ის, რომლის აღიღებამ რომ დამაღრაო, ღმერთთან გიჩივლებთ ყველას, რად ან თქვენ ბორონი ყაპის ძაფით გქონდათ დაბმული და ჩემი თავი რომის აჩუქეთ...“
თუ არ გინდათ რისხვა გამაცოცხლოთ ერთი ნერვი მოიხრეთ ჩემთვის, მეტი განა რა სჭირია ჩემს მკვლევართა აღდგენასო.
მე ენა დამება არა თუ გაცოცხლებას სულის მიყიდვას კი დავთანხმდებოდი მაგონი, ისე რიგად დავუკობი-კი გენაცვა, ვუპასუხე, ხვალე ავღძრავ შუამდგომლობას მკვლარ აღამაინის გამოცხლებელთა წინაშე თქო...
— დამღვრეველი სული დამყაფილდა და გაქრა...
მე კი იმერულად შემატევი...
ამ დღიდან ლოგინზე ვდგავარ
et je n'esais pas quand je mourrais!..
ეს შიში „დღეის“ არც კი შეეძრება...
ავადმყოფი ვარ მაგრამ მოხიფებულნი და მომჩივნები მაინც არ მივიწყებენ...

მიჩვევა—მიჯავებს ჰინაზავს—ასეა ჩემმა მშემ...
ან მე მკირდება მდივანი, სანამ დაცემული ვარ, რომ ჩამოწეროს საჩივრები...
კერძო ბარათები.
— შეიძლება დამბრახო, მკითხველო, კერძო ბარათების გამოსინათლებისათვის, მაგრამ მათი შინაარსი დამარწმუნებს, რომ მე ასე უნდა მოვექცეულიყავი.
ერთი წიგნის ავტორი წერს:
— სახელმწიფო გამომცემლობა ჩემი წიგნი არ შეიტანა „საბაზრო სიაში“.
ეს ჩემი სიკვდილი უდრის, პროტექცია არა მქონდა, „რამე რუმე“ ს ვსთხოვ რჩევას და შევლას... მწიგნობარი et...
უცხოეთის ქართველთა მეგობრების ბარათი.
— სამშობლოს გარეთ მყოფ ქართველთა (იგულისხმე სპარსეთის ქართველები) იმერელი მეგობრები თავის ბარათში განცხადებენ გამოსთქვამენ, როგორ მოხდა, რომ ზაქარია კიჭინაძემ და სხვებმა იოსელიანმა.
ქვემო იმერეთის ელექტრო ქალაქი სამტრედია არ ინახულეს
„ამ ბარათს მე ყოველ „რეზოლუციის გარეშე ვირდგენ მარად და მარად ძვირფასო მკითხველო...“
ევროპელი.

„ვიკიურბი“

1. ზოგიერთი ქართველი მწერლები მეტ საქმიანობას იჩენენ და მეტად საინტერესო და ორიგინალურ „საღამოებს“ ჰპირთავენ: ყოველ დღე, გათენებამდის ლოტოს თამაშობენ „ბოგებაში“ და მთვრალეები რუსთაველსა სთელავენ... ამხანაგო პოეტებო! გონს მოდით: თქვენ რომ ლოტოში და ლოთობაში ეძებთ „თავ-დავიწყებას, ჩვენ რაღაში ჩავიხრით თავები?!“
2. ზოგიერთმა საბავშვო ბაღმა შარშან მთელი წელიწადი სულ „ათამაშა“ ბავშვები და ანბანიც არ დაუწყებინებია... ბავშვებმა უკვე მერვე წელიწადს მიაღწიეს და შრომის სკოლაში გადავიდნენ, მაგრამ ჯერ ისევ „თამაშობენ“... ნეტა ვიცოდე, ვინ ან როდის უნდა დაწყებინოს მათ წერა-კითხვა?!
3. სამტრედიის ფრონტზე სიწყნარება გენერალმა ევროპელმა სამტრედიის დრამის სიმბარის აღების შემდეგ მოიღო და განადგურა „პროვინციის რამერეჟი“ და ახლა „ევროპის რამე-რუმისთვის“ ემზადება... რაც ჩვენისთანა აზიელებისთვის უფრო საინტერესო იქნებოდა!..
4. დაახლოებით საზოგადოება „ბორჯომის წყლის გაწყალბისა“... დირექტორად ინიშნება სპეციალისტი ექიმი ფრანგ-ფილიპინი. დამზადებულია ერთი მილიონი ბოთლი ბორჯომის წყლის მაგიერ—

უწყლოდ გაკეთებული ყალბი დუბლიკატები, რომელთა გასაჩივრებლად მოწვევნი არიან ფრანგ-ფილიპინის მიერ „მოსკოლის სპეციალისტები“ Хомик-Порженевский и Ко... მთელი მოგება მოხმარდება სახალხო ჯანმრთელობის ჯანმრთელობას!
5. იხსენება „ახალი კაბინეტები“ მშვენიერად მოწყობილი, რბილი მეხებით და ყოველ გვარი „კომფორტით“ და სპეციალური „დღეებით“—ლოტების მოსასვენებლად და გამოსაფხიზლებლად... ზედამხედველად თვითნებ კომისარიატში დანიშნულები არიან უზნის კომისარები... განყოფილებები ყოველ რაიონში. დაწერილებითი ცნობები „ლოტების საშობის“ შესახებ მილიციის სამმართველოში.
6. ქალაქის უზნის ექიმები იძულებული არიან ხელი იღონონ ექიმობაზედ, რადგან დღე და ღამე უნდებიან „ლოტების შემოწმებას“ კომისარიატში. ლოტების დენით და უძილობით დაქანტულნი ექიმები სასოწარკვეთილებში ჩაივლინენ და თვითონაც ლოტობას მიეცნენ... მილიციის სამმართველომ უნდა შემოიღოს ახალი აპარატები (ექიმების ბაღ-ლოტ), რომელიც მანძილზედ აღმოაჩენენ მთვრალს მოქალაქეებს.
ბაშ-კორი.

პროკინდის რამ-რამი

სამტრედია. ოქტომბრის 15-ს აქ ჩამოვიდა ქუთაისის მაზრის განათლების მუშათა პროფკავშირის წარმომადგენელი ახ. იონა კობახიძე რომელმაც გააკეთა მცირე მოხსენება განათ. მუშათა პროფკავშირების და კერძოდ ამავე კავშირის ადგილკომების კომპეტენციის შესახებ.
ამ დღეს მოწვეული იყო რაიონული მასშავი ლეგელთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა სამტრედიის ტენიკულის გამგე დ. დოლობერიძე და მდივობდა მასწ. ი. პაპავა.
ამ კრებაზე ასარჩევი სხვათაშორის განათ. მუშათა ადგილობრივ პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი, წინანდელმა მდივანმა ალექსანდრე პაპავამ მოუცილებლობისა გამო ითხოვა მოვალეობიდან განთავისუფლება.
კრებამ ა. პაპავას წარსული მუშაობა ჩასთვალა რა ნაყოფიერად და ამავე დროს მასწავლებელთა ფართო მასის ნდობის მომხვეჭად ერთხელ სთხოვა მას კვლავ დარჩენილიყო განათლების მუშაკთა კავშირში.
თვით კონსტრუქტორი კავშირისა ამ დღიდან შემდეგ ნაირად შეიცვალა:
დაიარსდა განათლების მუშათა ადგილკომი, რომელშიც შევიდნენ ალ. პაპავა, ალ. მისურგოვი (ძველი მასწავლებელი) და ალ. ლევადა.

დანიშნა: სოფ. დიდი-ჯიხარის სოც. ჰუმანიტარულ სალიკვიდაციო ტენიკუმის და 9 წლის განმავლობაში დაინიშნა ახ. სოლომონ ლორთქიფანიძე.
სამტრედიის პირველი შვიდ წლის გამგეთა დანიშნა ახ. კონსტ. ცაგარეიშვილი.
სამტრედიის მესამე შვიდ წლის გამგედ დანიშნა ახ. ამბროსი ზოდელავა.
ჟურ. „განათლების მოამბე“. გამოვიდა მე-5 ნომერი ჟურ. „განათლების მოამბე“.
რაიონის ადიდება. უკანასკნელ ნიაღვრებისა გამო რაიონი საგრძნობლად აღიდა. ნაპირს გამოვსულმა მდინარეზე ზოგ ალაგას მოიტაცა ბორანი და დააღრა მგზავრები.
ელექტრო სადგური. სამტრედიის ელექტრო სადგურის აგება დამთავრდა, მის სინათლით უკვე აგებულ კალაქი, ამ დღეებში მოხდება სადგურის საზეიმო გახსნა.
საპატენტაციო სადგომი. იმ მუშებს, რომელთაც სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის დაასრულეს ადგილობრივ ტენიკუმის შენობის აგება სამტრედიის აღმასკომმა საპატენტაციო სადგომი გაუმართა.

სახელმწიფო ოპერა.

ა. წ. 18 ოქტომბრის სახელმწიფო ოპერაში დადგმული ბ. გულის ოპერა „ფაუსტი“ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს.
ეს, მართლაც მშვენიერი და უკეთესი, ოპერა ბ. გულის მეტად პოპულარულია ტფილისში და ბევრი მომღერალი მოუსმენია ამ ოპერაში ტფილისის საზოგადოებას. და მით უმეტეს ქების ღირსნი არიან ამ საღამოს მონაწილენი, რომ, მოხუცდევად ასეთი გარემოებისა, მეტად დაინტერესეს მსმენელნი თავის შესრულებით და მათი ქება დაიმსახურეს.
პირველობას ამ საღამოს მე ვანიჭებ მსახიობ ისევე. ნიჭიერი მსახიობი და მომღერალი თითქმის პირველად გამოდის ტფილისის სცენაზედ საპასუხისმგებლო პარტიის—მეფისტოფელის აღმასრულებლად და მისდა სასახლოდ უნდა ვთქვა, რომ ეს პარტია, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრით, მშვენიერად აქვს მსახიობს დამუშავებული. პირველ გამოცდილებიდანვე მსახიობი აინტერესებს მაყურებელსაც და მსმენელსაც და რაც უფრო ვითარდება მოქმედება, მით მეტ ყურადღებას იპყრობს იგი. მსახიობმა მშვენიერად შეასრულა და დიდის სარკაზმით აღავსო, როგორც სიმღერით, ისე სცენიურის გადმოცემით, კუბუტები „სიმღერა ოქროს ხმის შესახებ“, რომელშიც ხაზი გაუსვა ხალხის (en masse) სიხარბესა და გამყიდველობას. კარგი იყო აგრედვე სცენა, როდესაც მას ჯვრებს დაანახებენ; აქ მიმიკა და მთელი სცენიური გადმოცემა მეტად მხატვრულია. ცოტა უფერული იყო მე 3 მოქმედებაში მეფისტოფელის სერენადის შესრულება, რაც, მე მგონია, იმის ბრალია, რომ ორკესტრმა ნელი ტემპი აიღო და ვერ მისცა კარგი აკომპანიმენტი. უფრო მეტად უშლიდა ხელს აკომპანიმენტი კულისებში შესრულებულ არია—პარმონიას (სცენა სობოროს წინ), რომელსაც აკლდა რიტმიულობა, ნიუიანსები და მელოდიური სურათის სიძაფრე.
მთელი მეფისტოფელის სცენა მიდის ორგანის აკომპანიმენტით. საჭიროა არია-პარმონია დაიდგას ისეთი კულისებით, რომ მომღერალს ესმოდეს ორგანის მელოდი. მეფისტოფელის მთელი გარეგნული მხარე და ტანისამოსი ახალი და ორგინალურია.
ვოკალურის მხრით მშვენიერად ასრულებს ფაუსტის პარტიას მსახიობი ზავალაოვი. დასახელები

ბული პარტია (გარდა 1-ლი სქემისა) მთლიანად ორული ხასიათისაა და ზავალაოვის მშვენიერი ლირული ტენორი და მუსიკალობა მეტად უხდება ამ პარტიას. საუკეთესო ადგილებად მის აღსრულებაში უნდა ჩაითვალოს ნოვატინა, ლირიული სცენა მარგარიტასთან და 3-ე მოქმედებაში. გრიში და სცენიური გადაცემა სრულიად მისაღებია.
რაც დრო გადის უფრო ცხადი ხდება მსახიობ ქალის მარკოვის სცენიური სახე. მარგარიტას პარტიაში იგი მაღალ ლირების მსახიობი და მომღერალი აღმოჩნდა. მის შესრულებაში საუკეთესო ადგილები არის ლირიული (სინფონიკა ფილიპის მეფის შესახებ) და ყველა სცენები ფაუსტთან. განსაკუთრებული განწყობილებითა და დინამიური შტრახებით ასრულებს მსახიობი მე-2 მოქმედების ბოლო არიას (ვარსკვლავებთან საუბარი). კარგი მიმიკა და გრიმი აქვს მომღერალს და სცენაზედ იგი ნამდვილი „გრეტხენია“ (გიოტესებურად).
ვალენტინის პარტია ვერ იყო სწორედ შესრულებული მსახიობ დევლეტის მიერ. არ ვიცი რად სჭირდება მსახიობს, პარტიტურის წინააღმდეგ, ასე ხშირად მიმართოს ხმის გაძლიერებას და გაგრძელებულ „fermato“-ს. ეს არაა მხატვრული. სიკვდილის სცენის ჩატარების დროს მსახიობს აკლია განწყობილება მე-3 მოქმედებაში trio-ს შესრულების დროს სასურველია გვესმოდეს უფრო ცხადი ზელო დიური სურათი.
კარგია მსახიობი ნეიმანი მარიას ეპიზოდურ პარტიაში.
საბუნდოვროდ ოპერა უპრეტენზიოდ არის დადგმული და მისათვის მეტად კარგად.
მაგრამ ბალეტი „ვალპურგის ღამე“ მართლაც მხატვრულია. ძიგოვსკი ბალეტს სდგავს ვაკანალიის სახით მეტად ლამაზად და სტილის დაცვით. ძალიან კარგია სინათლის ეფექტების შევლა. დასანაია, რომ „ვალპურგის ღამე“-ში გამოშვებულია მეფისტოფელისა და ფაუსტის არიები—ორივე არია მეტად ლამაზია.
გუნდი პირველ მოქმედებაში ხმას უდაბლეს (კულისებში).
ორკესტრს ხელმძღვანელობდა ტფილისში ცნობილი მუსიკოსი—თეორეტიკოსი და ახალგაზრდა კომპოზიტორი ჩუგუნოვი.
3. ბუნდოვროდ.
რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

მატარებლის მი ოსვლის ნუსხა

№ და სახელწოდება მატარებლისა.	ტფილისიდან	დანიშნულ ადგილზე მიდის	№ და სახელწოდება მატარებლისა.	ტფილისში მოდის	დანიშნულ ადგილებიდან გამოდის.		
1 ჩქ.	4 00 შაბ.	მოსკ.	5-55 ოთხ.	2 ჩქ.	3.30 საშვ.	მოსკ.	1.00 პარ.
1 ჩქ.	4.00 საშვ.	პეტრ.	12 00 კვ. ოთხ.	2 ჩქ.	3.30 პარ.-ოთხ.	პეტრ.	9.30 ქ. პ.
3 სამგზ.	11.35	როსტ.	6.00	4 საფ.	6.35	როსტ.	10.30
7 საბ.	10.10	ბაქო.	7.50	8 საბ.	7.35	ბაქოდან.	9.40
21 საბ საბ.	11.25	ბაქო.	8.10	22 საბ.-სახალ.	2.50	ბაქოდ.	2.30
8 საბ.	8.40	ბათ.	11.40	7 საბ.	8.50	ბათოდ.	5.00
4 საფ.	12 00	ბათ.	5.40	3 საფ.	.10	ბათ.	10.30
22 საბ-საბ.	12 20	ბათ.	3.25	21 საბ.-სახალ.	4.20	ბათ.	1.35
2 ჩქ.	4 40 საშვ.	ბათ.	6 40 ოთხ.	1 ჩქარი.	2 40	ბათ.	11.50 პარ.
3 საფ.	6.00 კენტ. დღ.	ეროვ.	6 00 ლუ-წი დღ.	34-33 საბ.-სახალ.	6.15 ქ. დ.	ჯუღუფ	5.25 ქ. დღ.
31/32 საბარ.-საბ.	11.00 ლუ-წი დღ.	ჯუღუფა.	3 33 კენტ. დღ.	19 საბ.	8.00	ბორჯ.	1.20
3/4 საფ.	8.35	თელავი.	7.15	3/4	6.55	თელავ.	7 25

შენიშვნა: ღამის დრო ხაზ გასობილია.
დამატება: 1) ბორჯომიდან ბაკურიანში მატარებელი გადის: 12.15 8.00 და 4.80. უკანვე ბრუნდება 9.00 12.15 და 6.50.
2) სამტრედიიდან ფოთში მატ. გადის 8.30 და 9.25 უკანვე ბრუნდება: 4.50 და 4.34.

საგზაპრო გილათიგის ფასები (ჩაბოუნსებში)

(მაგარ საწოლიან ვაგონებში).

მატარებლების სახელი.	ტფილისიდან	ფ ა ს ი
ჩ ქ ა რ ი	მოსკოვამდე	18 მ. 42 კ. *)
"	პეტროგრადამდე	22 მ. 20 კ. *)
"	როსტოვამდე	12 მ. 96 კ. *)
"	ბაქომდე	7 მ. 77 კ.
საბარგო სამგზავრო	ბაქომდე	3 მ. 82 კ.
"	ბათომამდე	5 მ. 65 კ.
საბარგო სამგზავრო	ბათომამდე	5 მ. 65 კ.
ჩ ქ ა რ ი	ბათომამდე	2 მ. 83 კ.
სამგზავრო	ბათომამდე	5 მ. 65 კ.
საბარგო-სამგზ.	ერევანი	5 მ. 95 კ.
საფოსტო	ჯუღუფამდე	3 მ. 82 კ.
სამგზავრო	თელავამდე	2 მ. 91 კ.
"	ბორჯომამდე	3 მ. 76 კ.

*) ბილეთების გარდა სწრაფ მატარებლებზე მგზავრები იხდიან ბილეთის ფასის 25 პროც. სიჩქარისათვის და 25 პროც. პლატკარტ. დასაწოლ ადგილისათვის.
იმ სამგზავრო მატარებლებში, რომლებშიც დაწესებულია პლაკარტის ფასი, ასეთს ახდენენ ბენ ბილეთის ფასის 10 პროც. საჯდომ ადგილისათვის და 25 პროც. საწოლისათვის.